ხელშეკრულება № 419 /06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 01 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და, მეორეს მხრივ, შპს „გრაალი +“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა მჭედლიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, თსუ-ს სპორტული გუნდებისთვის საჭირო მედიკამენტების (სსიპ უმაღ/საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები CPV33600000 ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეული ფასი	საერთო ღირებულება
1	დექსალგინი 50 მგ. 2 მლ. ამპ. N1	2 ცალი	4.69	9.38
2	დიკლობერლი 75 მგ. ამპ. N5	1 ცალი	14.80	14.80
3	ვოლტარენი 75 მგ/3 მლ. ამპ. N5	1 ცალი	11.20	11.20
4	ბარალგინი 500 მგ/მლ. 5 მლ. ამპ. N5	1 ცალი	11.56	11.56
5	კლოდიფენი 75 გმ/3 მლ. ამპ. N5	2 ცალი	13.89	27.78
6	მოვალისი 15 მგ/1,5 მლ. ამპ. N5	2 ცალი	13.79	27.58
7	ტორადოლი 30 მგ/1 მლ. ამპ. N5	2 ცალი	39.33	78.66
8	შპრიცი 3 გრ. (რეზ. დგუშ.)	50 ცალი	0.35	17.50
9	დოქტორ მომი საწ. აბი N20	3 ცალი	7.20	21.60
10	სტრეპსილსი ვიტ. C N24	2 ცალი	9.75	19.50
11	ტრახისანი საწ. ტაბ. N20	2 ცალი	13.95	27.90
12	პოლიდექსა ცხვირ. წვ. აეროზოლი	2 ცალი	15.45	30.90
13	სნუპი სპრეი, 0,1 %, 15 მლ.	2 ცალი	8.62	17.24
14	ვოლტარენი რაპიდი, 50 მგ, ტაბ. N20	2 ცალი	24.58	49.16
15	ტრაუმელი ტაბ. N50	1 ცალი	14.90	14.90
16	ალგესტინი გელი, 40 მგ.	2 ცალი	13.20	26.40
17	ბადიაგა გელი, 100 მლ.	1 ცალი	14.77	14.77
18	დიკლაკი გელი, 5%, 50 მგ.	1 ცალი	9.65	9.65
19	რადიანი B, 5%, გელი, 30 გრ.	2 ცალი	8.89	17.78
20	ფენოგელი გელი, 50 მგ/გ. 60 გრ.	1 ცალი	18.28	18.28
21	კლოდიფენი 5%, 45 გრ. გელი.	2 ცალი	18.28	36.56
22	პერსკინდოლი აქტივ სპრეი N1	1 ცალი	18.35	18.35
23	ტრიდერმი 15 გრ, კრემი	1 ცალი	14.68	14.68
24	ტრიდერმი მალამო, 15 გრ.	1 ცალი	17.60	17.60
25	რომანაძე მალამო წითელი ქარი	1 ცალი	35.55	35.55
26	რომანაძის მალამო	1 ცალი	18.60	18.60
27	რომანაძის მალამო ფსორიაზი	1 ცალი	35.47	35.47
28	რომანაძის სოკოვანი მალამო	1 ცალი	28.75	28.75
29	ჰერბამედი მალამო, 20 გრ.	1 ცალი	28.15	28.15
30	წიწაკის პლასტირი 12*18, ვეფხვ.	5 ცალი	1.40	7.00
31	მიგ 400 ტაბ. N10	2 ცალი	4.80	9.60
32	ნიმესილი 2 გ. გრანულები N1	20 ცალი	0.56	11.20
33	დექსალგინი 25 მგ. ტაბ. N10	1 ცალი	13.05	13.05
34	იბუპროფენი 0,2 ტაბ. N50	2 ცალი	1.78	3.56
35	იმოდიუმი კაფს. N20	1 ცალი	9.77	9.77
36	ციტრამონი დარნიცა, ტაბ. N6	4 ცალი	0.47	1.88
37	ეუკარბონი ტაბ. N10	5 ცალი	3.37	16.85

38	ადიტივა ჩაი ლიმონი, პაკ. N1	2 ცალი	9.01	18.02
39	კორსიზი ტაბ. N10	5 ცალი	1.77	8.85
40	ვალიდოლი ტაბ. N10	2 ცალი	0.45	0.90
41	სტრეპტოციდი ტაბ. 0,5 გ N10	5 ცალი	0.41	2.05
42	ბარალგეტასი ტაბ. N10	2 ცალი	0.83	1.66
43	დრამინა 50 მგ, ტაბ. N10	1 ცალი	9.83	9.83
44	ესპუმიზანი პაკ. 125 მგ. N14	2 ცალი	11.60	23.20
45	კაპტოპრილი 50 მგ. ტაბ. N10	2 ცალი	2.34	4.68
46	ასპირინი კარდიო 100 მგ. ტაბ.	1 ცალი	7.55	7.55
47	ტრომბო აცც 100 მგ. ტაბ. N100	1 ცალი	10.43	10.43
48	სტევია ტაბ. N200, შაქრის დამატკ.	2 ცალი	9.70	19.40
49	დიკლობერლი რეტარდი 100 მგ, ტაბ.	2 ცალი	13.86	27.72
50	ლოქსიდოლი ამპ. N3	2 ცალი	24.80	49.60
51	დიკლაკი გელი 50 მგ, 5%	2 ცალი	9.480	18.96
52	ვოლტარენი რაპიდი 50 გრ, ტაბ.	1 ცალი	24.45	24.45
53	ნიქსარი 20 მგ, ტაბ. N10	1 ცალი	12.35	12.35
54	ტერაფლუ პაკეტი N10	1 ცალი	17.60	17.60
55	გლიცერინის სანთელი N12	1 ცალი	19.75	19.75
56	პერსკინდოლი კლასიკი, გელი. 100 მლ	1 ცალი	20.05	20.05
			სულ ღირებულება	1070,21

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 1070.21 (ათასსამოცდაათი ლარი და ოცდაერთი თეთრი) ლარს.

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ნიკა მიქაუტაძე.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახან ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში მიმწოდებელს შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 15 დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 15 მაისი.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, „მიმწოდებელი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა მიმართოს მეორე მხარეს ამის შესახებ. თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისგან, თუკი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის ან/და პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული დაგახდა მიწოდების შემდეგ 15 დღის ვადაში.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დაგდენილი წესით სათანადო ვალდებულის რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2018 წლის 30 დეკემბრამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომეილც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
13.2. თუ მხარეები 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ, მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დაგდენილ წესს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპურტაციას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. ხელშეკრულების მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევის და ა.შ. შესახებ, თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითველბა შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

_____

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსრების ფარგლებში
3204050102
საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

_____
/ნ. ოფსიანიკოვა/

მიმწოდებელი _____

შპს „გრაალი +"

მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N54, მიწისქვეშა გადასასვლელი
საბანკო რეკვიზიტები:
„თიბისი ბანკი"
GE36TB7242436020100004

ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
204982938

შპს „გრაალი +"-ის დირექტორი:

_____
/მ. მჭედლიძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

01 მაისი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების № 419 /06 შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობის განხორციელებაში შპს „გრაალი +“-თან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი. საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:	ა. კუკულავა
თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი	ს. სანაძე
თსუ შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი	ა. ხიზანიშვილი